

## ე. თაყაიშვილი


### ჩხარის ეკლესიის სიძველენი

(მეორე ნაწილი) \*

#### 3. ხატები

1. წმიდა საბახ დიდი ხატი, ვერცხლისა, ნაჭედი, ოქროთი დაფერილი და 94 დიდრონი ქვით შემკული. ეს ხატი საფარიდან არის ჩამოსვენებული, მაგრამ მას შემდეგ ის სრულიად განახლებულია იმერთა მეფეების, სოლომონ I-სა და სოლომონ II-ის მიერ, XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ხატი კარედია, დასაკეცი. მისი სიმაღლე უდრის 87,5 სანტ., განი—63,0 სანტ. აქვს შუა ტანი და ორი ფრთა; თითო ფრთა  $74,5 \times 32,0$  სანტიმეტრია. როდესაც ხატი შემკეცილია, მის ზედაპირზე წარმოგვიდგება გამობერვით ნაჭედი სურათები: შუაში, კამარის ზემოთ, წმიდა სამება (წა: სმზა), რომლის მარცხნივ არის ყოვლად წმიდა (ყდ წა); მას უკან წმიდა მოსე (წა: მოსე); მარჯვნივ იოანე ნათლისმცემელი (იწ: ნთლმცილი) და წმიდა ილია (წა: ილია). კამარის კუთხეებში მთავარანგელოზთა სურათებია, უფრო დიდი: მარცხნივ — გაბრიელი (მთ ანგზი: გბრლ), მარჯვნივ — მიქაელი (მთ ანგზი: მიქაელ). კამარის ქვეშ, მარცხნივ გამოხატულია წმიდა ნიკოლოზი, წელს ზევით, მაკურობხეველი მარჯვენითა და სახარებით (წა: ნკზ); მარჯვნივ — ყოვლად წმიდის შობა (ყდ წის შობა). ამას ქვემოთ ორ რიგად, თითო რიგში წყვილ-წყვილად, სრულის ტანით წარმოდგენილი არიან ზეზე მდგომნი წმიდანნი. პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: წმიდა მამა იოსები (წა მამა იოსებ), წინასწარმეტყველი ზაქარია (წა წყლი ზაქარია), წმიდა ანტონ დიდი (წა ანტონი დიდი), წმიდა ეფთიმე დიდი (წა ეფთიმე დიდი), წმიდა დავით (წა დავით), წმიდა კონსტანტინე (წა კონსტანტინე), წმიდა თეკლა (წა თეკლა), წმიდა ეკატერინე (წა ეკატერინა). მეორე რიგში: ნათლისმცემლის თავისკვეთა (თვის: კვთა, ნთლმციმლისა), წმიდა ევსტათი (წა ევსტათი), წმიდა დიმიტრი (წა დიმიტრი), წმიდა ბასილი (წა ბსლი), წმიდა გრიგოლი (წა გგლი), წმიდა იოანე ოქროპირი (წა იწე ოქროპირი), წმიდა სპირიდონი (წა სპირიდნ). ეს ორი რიგი ერთმანეთისაგან გაყოფილია მცენარეული გრეხილი ჩუქურთმით. ამგვარადვეა მოჩუქურთმებული ხატის სხვა თავისუფალი ადგილებიც, ხოლო ქვემოთ წარწერებია, სამ რიგად. უკანასკნელი რიგი ეკუთვნის ხატის შუა ნაწილს და დაწერილია 1779 წელს, ხოლო მარცხნივ არსებული რიგი დაწერილია 1780 წელს, მხედრულად; პირველი რიგის

\* პირველი ნაწილი, ანუ დასაწყისი წინა ტომშია. იხ. ტ. XV-B.



მარცხენა ნაწილი დაწერილია დაახლოებით იმავე დროს და მხედრულადვე, ხოლო პირველი რიგის მარჯვენა ნაწილი დაწერილია 1800 წელს, ასომთავრულით და ეკუთვნის სოლომონ II. უკანასკნელი, მესამე რიგის კუთხეებში, მედალიონებში წარმოდგენილია: მარცხნივ წმიდა მარინე (წ<sup>ა</sup> მ<sup>რ</sup> ნე) და მარჯვნივ წმიდა ბარბარა (წ<sup>ა</sup> ბ<sup>რ</sup> ბ<sup>რ</sup> ა) (იხილე ტაბ. 1).

ხატის შუა ნაწილი წარმოადგენს წმიდა საბას მუხლზევით გამოსახულებას, ასომთავრული წარწერით: წმიდა საბა განწმედილი. საბას ორივე ხელი ზეაპყრობილი აქვს; მარცხენაში ჯვარი უჭირავს, მარჯვენით აკურთხებს. მისი თავის შარავანდი შემკულია ქვებით. შარავანდს მარცხნივ გამოხატულია ანგელოზი, რომელსაც ხელში გვირგვინი უჭირავს. საბას ოლარი, სარტყლის მსგავსად ქვემოთ ჩამოშვებული, შემკულია ორი ჯვრით და ქვების სამი ჯვარედინი რიგით. ზემო ჯვარზე წარმოდგენილია ჯვარცმული, რომელსაც ასომთავრულად აწერია: ჯ<sup>რ</sup> ი ქ<sup>ს</sup> ი ძ<sup>ლ</sup> ვა მ<sup>ტ</sup> რ თ ა. ქვემო ჯვარს ირგვლივ სწერია: იესო ქ<sup>რ</sup> ეს ძ<sup>ლ</sup> ე ვ ა. მარჯვნივ ხატზე ქვემოთ ოთხკუთხედი სანაწილეა და მის კარზე წარმოდგენილი არიან: შუაში იესო ქრისტე (ი<sup>ვ</sup> ქ<sup>რ</sup> ეს), რომელიც ორივე ხელით აკურთხებს მის გვერდით მდგომთ — მარცხნივ წმიდა პანტელეიმონს (წ<sup>ა</sup> პ<sup>ნ</sup> ტ<sup>ლ</sup> მ<sup>ნ</sup>), მარჯვნივ წმიდა გიორგის (წ<sup>ა</sup> გ<sup>ი</sup>). სანაწილის კარს რომ გამოვალვებთ, შიგნით ვხედავთ 15 უჯრას ნაწილებისათვის, ხუცუთი წარწერებით, რომელნიც განმარტავენ, თუ რომელ წმიდანს ეკუთვნის ესა თუ ის ნაწილი. ახლა ნაწილი ერთ მოგრძო უჯრაში-ღაა დარჩენილი, სხვა დაკარგულა. ხატს მარცხნივ და მარჯვნივ, აშიებზე, ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილია წელსზევითი სურათები შემდეგი წმიდანებისა: წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup> (მოციქული): პეტრე; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: პავლე; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: მ<sup>თ</sup>ე; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: ი<sup>ე</sup>: წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: მ<sup>რ</sup> კ<sup>ზ</sup>; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: ლუკა; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: ანდრია; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: იაკობ; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: ბ<sup>რ</sup> ო<sup>ლ</sup> მ<sup>ე</sup>; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: ს<sup>ნ</sup>; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: თომა; წ<sup>ა</sup> მ<sup>ი</sup>: ფ<sup>ლ</sup> პ<sup>ე</sup>: მ<sup>ი</sup> (იხ. ტაბ. 2 და 3).

ხატის მარცხენა ფრთაზედ, შიგნით, წარმოდგენილია (ზემოდან ქვემოთ): ხარება, ნათლისღება, ტაძრად მიყვანება, იერუსალიმს შესვლა (რასაც აქ „ბაიაობა“ ეწოდება), ჯვარცმა, ამალღება და სული წმიდის მოფენა. მარჯვენა ფრთაზედ: შობა, მირქმა, ლაზარეს აღდგინება, აღდგომა, თომასაგან გრდ<sup>ს</sup>ხლა, (გვერდის ხილვა), ფერისცვალება და ყოვლად წმიდის მიძინება. ქვემო აშია, როგორც აღვნიშნეთ, უჭირავს წარწერას და მის კუთხეებში წმიდა ეკატერინეს და წმიდა ბარბარას მედალიონებს (იხ. ტაბ. 4 და 5).

ამ ხატის ოთხივე წარწერა ქარაგმა — გახსნილი მოგვყავს (იხ. ტაბ. 6)\*.

ა). ასომთავრული წარწერა ხატის შუა ნაწილის ქვემო აშიაზე:

1. ქ. ხატი ესე ხვთივ განბრძნობილისა საბასი საფარის მონასტრით სამცხითგან აქ ჩხარს მოუსვენებიათ და ჟამთა ვითარებისგან ფრიად დაძველებულ იყო.

2. ინება ნეტარხსნებულმან მარიამ დედოფალმან განახლება ამისი და ვერ ეწიფა, რამეთუ მიიცვალა. ხოლო აწ ჩვენ, აფხაზ-იმერთა მეფეთ მეფემან სოლომონ დავითიანმან, ვიგულსმოღინე, მოვაჰქედინე.

3. და შევამკვე ხატი ესე წმიდისა საბასი საოხად და სახსრად სულისა მარიამ დედოფლისა, კეთილმსახურებაი აღსრულებულისათჳს და დღეგრძელობით წარსამართებლად მეფობისა ჩვენისა და პირმშოსა.

\* შეადარე ბროსეს, Mémoires de l'académie imp. sixième série, t. pp. 443.— 445.

4. ძისა ჩვენისა ალექსანდრეს და თანცხედრილისა (sic) ჩვენისა დედოფლისა გულქანის, და დარეჯან და მარიამ ასულთა ჩემთა, ზოგად ყოველთავე მცველად და მფარველად. თვესა აპრილსა ა, ქრისტეს აქათ ჩლოთ (=1779).

წარწერა ეკუთვნის იმერეთის მეფეს სოლომონ I დიდს. მისი პირველი ცოლი მარიამი, რომელსაც ამ ხატის მოჭედა განუზრახავს, იყო ოტია დადიანის ასული, ხოლო მეორე ცოლი გულქანი—წულუკიდის ასული. სოლომონ I-ის ქალები, დარეჯანი და მარიამი ცოლად ჰყავდათ: პირველი — ქაიხოსრო აბაშიძეს და მეორე ელიზბარ ერისთავს. სოლომონის-დე ალექსანდრე დაიბადა 1760 წელს და გარდაიცვალა 1780 წელს (H. Gr., II, 1. p. 644).

ბ) მხედრული წარწერა პირველს ზემოთ, კართა ქვედა ნაწილებზე:

(მარცხენა ფრთაზედ)

1. ქ. წყალობითა და შეწევნითა წმიდისა სამებისათა ჩვენ სრულიად იმერთა.

2. მპყრობელმან მეფემან სოლომონ დავითიანმან ოდეს იგი ბრძოლად წარვემართე შარვაშის ძეთა და

3. სრულიად აფხაზთა ზედან თათართა ჯიქთა და ალანთა და ძლიერებითა ქრისტეს ჯუარისათა შევებ

4. ენით და ბრძოლა უყავთ ზუგდიდს და მყის თანად მიმო დავაბნივენით სამ მწყობრნი რაზმნი მათნი

(მარჯვენა ფრთაზედ)

5. მრავალნი მოვსრენით და უმრავლესნი ცოცხალნი შევიბყრენით და გამარჯვებულნი და ძლევა

6. შემოსილი რა მოვიქეც ვიგულისმოდგინე მსახურება ესე და მოვაქედინე ორნი კარნი წმიდისა ღმერთშემოსილისა

7. საბა განწმედილისა ხატისანი და შევამკვევ ორმეტ საუფლოთი წარსანართებლად მეფობისა ჩემ

8. ისა და სულისა საოხად და ძისა ჩემისა ალექსანდრეს მცველად და მფარველად ქრისტეს აქეთ ჩლპ (=1780).

გ) მხედრული წარწერა ამას ზემოთ, მარცხენა კარზედ:

1. ჰ მამაო და მოღვაწეთა თუალო საბა ვხედვედი რა ხატსა ამას შენსა დაძველებულსა მე იმხნელ

2. დეკანოსი მოძღუარი სვიმონ მის ძლით მეღბოდის ნაწლევნი ვყავ ლუაწლი და შრომა უზომო მევედ

3. რმან მეფეთ და დედოფალთამან და ზედამდგომელმან ვამკე და განვაახლე აწ ნაცვლად მამკე მე მე

4. უღლით თამართ და ძეებით ნიკოლოზ ელისე ხოლო გრიგოლ და იოანე მრჩობლ დაგვიფარენ ასულით ხვარამზითურთ ამინ.

დ) ასომთავრული წარწერა მარჯვენა კარზედ:

1. ქ. ვინაჲდან უკუჲ მართლმსაჯულმან მყობადმან ყოველთამან მოწ —

2. ყალებით მოხედვა ყო და დამადგინა მეფედ იმერთა ზედა სო —

3. ლომონ მეორე თანაერთგორციით ჩემით დადიანის ასულით მარიამით

4. დედოფლით, ამისთვის კელვყავ, ჟ ზესთა წმიდაო მამაო საბა-  
და უსრუ

5. ლი ხატი შენი განვასრულე ოქროთა და ვეცხლითა დასაცველად ჩვენ—

6. და, წარსამართებელად მრჩობლ ცხოვრებისა ჩემისა, ამინ. ქრისტესით-  
გან ჩყ (=1800).

II. საბას მეორე დიდი ხატი. შექედილია მსუბუქად მოოქვრილი ვერცხ-  
ლით. საბას ხელში უჭირავს ეტრატის სამპწკარიანი ბერძნული წარწერით. ფონი  
და შარავანდი ხლართულებითაა შემკული; აგრეთვე ზემო აშია, წელს ზევით.  
წმიდანთა სურათები ხელობით მოგვაგონებენ გელათის ეკლესიის ღვთისმშობ-  
ლის ხატს და საზოგადოდ დაქვეითების ხანის ნამუშევრებს (იხ. ტაბ. 7).

III. წმიდა გიორგის პატარა ხატი, ვერცხლის ფირფიტაზე. წმ. გიორგი  
გამოხატულია ცხენოსანი, შუბით ვეშაპის მგმირავი; უნაგირზე უკან უზის მის  
მიერ ტყვეობითგან გათავისუფლებული პატარა ვაჟი, რომელსაც ხელში ლუ-  
ლიანი სურა უჭირავს. ზედა მარჯვენა კუთხეში მაცხოვრის ხელი მოჩანს. რო-  
გორც ეტყობა, თავის დროზე ეს ფირფიტა მეტაფრასის ყდაზე ყოფილა და-  
ჭედილი. მთელ არეზე მხედრული წარწერაა (იხ. ტაბ. 8):

ქ. ჩუენ დადიანის ასულმან:  
ქართლისა დედოფალმან მარიამ ეს  
წმიდის გიორგის მეტაფრასი  
ახლად  
შევაკრე  
ვინეთ და  
ჩვენის  
თეთ  
რით  
მოვაქედი  
ნეთ და  
მოგვირთმეგია ჩვენა  
დღეგრძელოდ და ცოდვა  
თა ჩუენთა შესანდ  
ობლად

მეორე გვერდზედ გამოქანდაკებულია წმ. გიორგის ურმის თვალზედ დაკვ-  
რა. კუთხიდან მაცხოვრის ხელი მოჩანს. ამას აწერია (იხ. ტაბ. 8).

ამის მადლს ვინცა მის დ  
ღეობას წიკთხევაბდეთ (წაიკითხვებდეთ) და მო  
ემთხვეოდეთ მოგვიხსენებდე  
ვინცა  
ეს მო  
მოშალ  
ო  
ს  
ისიმც  
რისხავ  
ს

IV. ეკლესიის მამათა, წმ. იოანე ოქროპირის, ბასილისა და გრიგოლ  
ღვთისმეტყველის ხატი. მათ წინ გამოხატულია დიაკონი, რომელსაც ხელში

საცეცხლური უჭირავს. ხატი ვერცხლისაა, მდარეხარისხოვანი, ქართული ხელობისა. შემკულია ამეთვისტონის ერთი დიდი თვლით.

მარცხენა კუთხეში არის ასომთავრული წარწერა:

ოქრო მკ

ედელი

მარჯვენა კუთხეში ოქრომკედლის სახელი უნდა წერებულყო, მაგრამ წარწერა არ შენახულა.

ხატის ზომაა  $18 \times 19$  სანტ.

V. წმ. გიორგის ხატი, მოოქვრილი ვერცხლისა. წმ. გიორგი ცხენოსანია, ვეშაპის მგმირავი. ხატი შემკულია ამეთვისტონის სამი დიდი და ორი პატარა თვლით; ორი დიდი თვალი აკლია. მარჯვნივ და მარცხნივ მხედრული წარწერაა, ოღონდ ისეთი უშნო და ვულგარული, რომ არ განირჩევა.

ხატის ზომაა  $23,5 \times 19$  სანტ.

VI. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა. წმ. გიორგი ცხენოსანია, ვეშაპის მგმირავი. ხატი ძლიერ ტლანჭი ხელობისაა, ბოლოდროინდელი. დაზიანებულია. ზომა =  $18 \times 19$  სანტ.

VII. ათორშეტი საუფლოს ხატი. პატარა, ძვალზედ ამოქრილი, ათონური ხელობისა. ჩასვენებულია მეორე-ოთხკუთხედ, ვერცხლის ხატში, რომელზედაც გამოქანდაკებულია: ზემოთ ვედრება, წარწერებით (შუაში მცხოვრი, მარცხნივ — ყდ წა“, მარჯვნივ — „წა იოანე ნთლსმცმელი“). შუაში მთავარანგელოზებია, ორივე თავით ფეხამდე, ლაბარუმითა და სფეროებით. მათ ქვემოთ სამი ფიგურა; „წა ბსილი“, „წა იე ოქროპირი“, „წა გრგლ“. ხატის ზურგზე, ვერცხლის ფირფიტაზე არის ჯვარი, რომელსაც აწვრია „(იჯ) (ქე)“ და აგრეთვე ხლართულები. ხელობა XVII საუკუნისა არის. პატარა ხატის ზომა  $6 \times 5$  სანტ. უდრის, ხოლო დიდისა  $15 \times 13$  სანტ. ხატს აქვს ვერცხლის ძეწკვი, მრევლში გულზე სატარებლად (იხ. ტაბ. 9).

VIII. ვერცხლის კოვზი მხედრული წარწერით (მარიამ დედოფლის სულის საცხონებლად).

IX. ორი ე. წ. წმ. გიორგის ბეჭედი, მხედრული წარწერებით.

ამათ გარდა ჩხარის ეკლესიაში აღრიცხულია:

1. რუსული ხელობის ბარძიმ-ფეშხუმი კოვზითურთ;
2. მინანქრის მედალიონებით შემკული ბარძიმი;
3. ბარძიმ-ფეშხუმი კოვზითა და ვარსკვლავითურთ (რუსული ხელობისა);
4. ხუთი პატარა მოოქვრილი თეფში;
5. ვერცხლის ოთხი საცეცხლური;
6. ვერცხლის ყდიანი სახარება (რუსული ხელობისა);
7. ვერცხლის ჯვარი მინანქრის გაფუჭებული მედალიონებით (რუსული ხელობისა);
8. ვერცხლის სანაწილე, ანა დედოფლის მიერ შემოწირული;
9. ასეთივე ვერცხლის ხატი ღვთისმშობლისა;
10. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა.

4. ხ ე ლ ნ ა წ ი რ ე ბ ი

I. ა) მეტაფრასი in folio, დიდი ტანისა. ქალაღზეა ნაწერი, ნუსხა-ხუცურით. ყდაში ზის. შეიცავს ობ (=72) რვეულს. ბოლოს ტექსტის ხელითვე უწერია:

„განსრულდა სადიდებელად ღისა და საქებელად ლუაწლით შემოსილისა და უძღვევლისა მთავარ მოწამის დიდის გიორგის, ჩხარის ეკლესიის მეტაფრასი ესე მარხვსა და ზადიკისა, რლი აღმაწერინა სიმონ მოძღუარმან იშხნელმან რლისა ხსენება იყავნ კზლ. მე ყდ უღირსს მლუდელს, ოსეს ძეს გაბაშვილს შენდობა მიბრძანეთ რლი ესე აღვწერე თვესა დეკემბერსა კ (20), რქეს აქათ: ჩ: ყ: (=1800). მთავარ მოწამეო ქს მხედარო გიორგი გმადლობ შნ რ (რათა) დიდად ნუგეშინის მცემელ მექმენ“.

მეტაფრასის თავში მოყვანილია „სასწაულნი წისა და დიდებულისა მთავარ მოწამისა გიორგისი აღდგინებისათს მნათისა მრ მოკლულისა მწედრისა“. მრავალ აღგილას, საკითხავთა ბოლოებში ხუცესი ოსეს ძე შენდობას ითხოვს.

ბ) მეტაფრასის მეორე წიგნი, იმავე ზომისა და ისეთივე ხელით, ოღონდ მოლურჯო ქალაღზედ დაწერილი. ესეც ყდაში ზის. იწყება დეკემბრის ცამეტით და თავდება აგვისტოს ოცდაცხრით. შეიცავს ნვ-(56) რვეულს. ბოლოს უწერია:

„აღიწერა სლთა (სულთა) განმანათლებელი ესე მეტაფრასი თა ივლისსა ით ქეს აქათ ჩყა (=1801), ხელითა ცოდვილისა მლუდლის გაბაონის ოსესითა“.

„ესე მეტაფრასი დიდისა მთავარ მოწამის გიორგის ჩხარის ეკლესიისათს აღმაწერინა მლუდელმან და მოძღუარმან იშხნელმან სიმონ საფასითა და წარსარგებელითა ეკლესიისათა სლისა ხსენება საუკუნომცა არს“.

გ) მეტაფრასის მესამე წიგნი, ყდიანი, იმავე ოსეს ხელით გადაწერილი მოლურჯო ქალაღზედ. იწყება სექტემბრის რვით და თავდება დეკემბრის თორმეტით. შეიცავს ნვ (=56) რვეულს. ყდაზედ მიწებებულ ფურცელზე, ბოლოს, მხედრულად სწერია:

„ლო აცხოვნე ამ მეტაფრასის დამწერი ოსე გაბაშვილი მლუდელი“.

თავში ამ წიგნს დართული აქვს ჩვილედი და გვირგვინოსანი ღვთისმშობლის სურათი, რომელსაც სახელი ბერძნულად აწერია. ეს სურათი დაწებებულია ხელნაწერის პირველი ფურცლის მეორე გვერდზედ. იგი რუსული ხელობისაა.

II. ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ვ ნ ე ბ ა თ ა კ ვ ი რ ი ა კ ის თ ა რ გ მ ა ნ ი, იმავე ხელით დაწერილი, იმავე ზომის ქალაღზე; ყდაში ჩასმული. შეიცავს ლზ (=37) რვეულს. ბოლოს უწერია:

„სრულ იქმნა თარგმანი ესე ვნებათ კკისა თვესა ივნისსა ლ (=30) ქეს აქათ ჩყ (=1800) ჯელისა უღირსის მლუდლის გაბაშვილის ოსესითა: შენდობას ვითხოვ ყთა მრ აღმომკითხუელთა: სვიმონ მოძღუარმან იშხნელმან აღმაწერინა“.

მთავარ მოწამის გიორგის ჩხარის ეკლესიასთან სლ<sup>ა</sup>ისა ხსენებაჲ იყავნ მოუკლებელ<sup>დ</sup> ამინ:“

ამ ხელნაწერის პირველი ფურცლის მეორე გვერდზედ დაწებებულია წმ. გიორგის სურათი, რუსული ხელობისა. ირგვლივ მშვენიერი, გრეხილოვანი დიდრონი მთავრული ასოებით უწერია: „მიხსენ: ყა: განსაცდელისაგან: და დამიფარე: უღირსი: მღუდელი ოსე“.

III. ქამ-გულანი, პატარა ტანისა, ყდაში ჩასმული. დაწერილია ქალღმერთ ნუსხა-ხუცურით, ორ სვეტად. ბოლოს მიმატებული აქვს ორი ფურცელი, სხვა ხელით ნაწერი. ნე (=55) რვეული გადაწერილია XVII საუკუნის ხელით. თავში აქვს უჯრედებიანი, წითელი და შავი მელნით დახატული თავსართი.

IV. წმ. გიორგის პარაკლისი, in 16<sup>o</sup>, პატარა ტანისა, ქალღმერთ ნაწერი, ყდაში ჩასმული, გადაწერილია 1846 წელს, ნუსხა-ხუცურით. ბოლოს უწერია:

„ეს წ<sup>ა</sup>ის გ<sup>ა</sup>ის პარაკლისი ჩხარის დეკანოსის დ<sup>ე</sup>თ მგალობელის ძეს ნიკოლოზის არის წელთა ჩემე (=1846):

ცუდი მელანი მქონდა თქ<sup>ნ</sup>ც ხედავთ.“

V. ქამნი, პატარა ტანისა. თავი და ბოლო აკლია, უყდოა, ნუსხა-ხუცურით არის ნაწერი. ხელის მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს.

VI. ლოცვები წ<sup>ა</sup>ის გრიგოლისი, ეპისტოლე ქრისტესი ავგაროზისადმი, ლოცვა წ<sup>ა</sup>ის კჳპრიანესი. სულ პატარა ტანისაა, ქალღმერთ ნაწერი, XVIII საუკუნის ნუსხა-ხუცურით. ყდაში ზის, მაგრამ დაშლილია და თავ-ბოლო აკლია.

VII. საგალობლნი, in 4<sup>o</sup>, ეტრატზე ნაწერი ნუსხა-ხუცურით. თავში აკლია ცხრა რვეული და სამი ფურცელი, ე. ი. სულ 75 ფურცელი. უკანასკნელ, „იგ“ რვეულს აკლია 2 ფურცელი, მაგრამ კიდევ რამდენი რვეული აკლია ამას შემდგომ, არ ვიცით. ხელის მიხედვით ნაწერი ეკუთვნის ხანას არა უგვიანეს XII — XIII საუკუნეებისა.

VIII. გულანი, ისეთივე დიდი ტანისა, როგორც მეტაფრასებია ნაწერი ქალღმერთზედ, ორ სვეტად, ნუსხა-ხუცურით. ნოემბრის ბოლოს სწერია:

„სრულ იქმნა წ<sup>ა</sup> ესე (გულანი)... აპრილსა: კთ (=29): ბრძანებითა ბატონის აბაშიძის ზურაბისითა: ღ<sup>ა</sup>ნ დაიცვას ორთავე შინა ცხოვრებასა:“.

იანვრის ბოლოს:

„ამის უცბად მჩხეკელსა მახარებელი გვეჩას შეუნდნეს ღ<sup>ა</sup>ნ“.

მეორე ადგილას იხსენიება მწერალი ი<sup>ე</sup> (იოანე) ნაჩარიძე. აბაშიძე ზურაბ და მწერალი იოანე სხვა ადგილებშიც იხსენიებიან. ვხვდებით აგრეთვე მწერლის დავითის სახელს.

IX. მხედრული მინაწერი სახარებაზედ, რომლის აღწერილობა დაგვეკარგა:

„მე იმერთა დედოფალმან ანნამ შემოგწირე წმინდას ეკლესიასა წმინდის დიდისა მოწამისა გიორგი ჩხარისასა საეკლესიო სამკაული სრულებით მეოხებო-სათვის სულთა და ხორცთა ჩემთა“.

„ხატები წმინდის გიორგისა და ღვთისმშობლისა, შემკობილი თვლითჲ, ეს სახარება, სანაწილე კარგად შემკობილი, ბარძიმფეშხუმი, დიდი ჯვარი კარგად შემკობილი, ვერცხლის საცეცხლური, ორი თეფში ოქროთ დაფერილი, ერთი ვერცხლის ტაკუკი, მღუღარების ჩარეჲა, წმინდის საიდუმლოს კოვზი, ლახვარი, ფეშხუმის ვარსკლავი, შესამოსელი ფილონი მძიმე ფარჩისა, აგრეთვე სტიხარი, ოლარი, ბედერნიკი, ენქერი, სარტყელი, საბუხრები, და სამი დაფარნა“.

სახარების წინა ყდაზე მინანქრიანი მედალიონებია (ერთი შუაში და ერთი ცკუთხეში), აწ დამტვრეული. უკანა ყდაზე ქანდაკებაა: მოსე, მაცხოვარი, ათი მცნება, ხარება; ქვემოთ შველი, ზემოთ სული წმიდა მტრედის სახით, ორივე კარგი ხელობაა.

---





საბას კარელი ხატი, შუკეცილი



საბას კარელი ხატი, გუმლილი



საბას კარელი ხატის შუა ნაწილი



საბას კარელი ხეტი (მარჯვენა კარი)



საბას კარელი ხეტი (მარჯვენა კარი)



საბას კარელი ხატის წარწერები



საბას მეორე ხატი



წმ. გიორგის მეტეფრასის ვერცხლის უღა





თორმეტი საუფლო ღვესასწაულის ხატი